

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 29 დეკემბრის სხდომის
ოქმი №5

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 31. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2011 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი შედგენილია “უმაღლესი განათლების შესახებ”, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონების, “საქართველოს საგადასახადო კოდექსის”, “საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის”, “საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა და მონაცემების გათვალისწინებით.

2011 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში წარმოდგენილია:

1. სამეცნიერო გრანტებიდან შემოსავლები, რომელიც დაგეგმილია ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით;

2. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები, რომელიც გათვლილია 2010 წლის შემოსავლებიდან გამომდინარე;

3. ფასიანი სწავლებიდან შემოსავლები, რომელიც გაანგარიშებულია სტუ-ს სასწავლო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული რეგისტრაციაგაავლილი სტუდენტთა რაოდენობისა (დღეის მდგომარეობით, სწავლების ყველა საფეხურზე სტუ-ში ირიცხება 15.075 სტუდენტი) და 2011-2012 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით (აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კვოტა შეადგენს 4.755 სტუდენტს, გარდა ამისა ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაზე: აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის – 238, სომეხი

სტუდენტებისათვის – 238 ადგილი (ჯამში 476). სულ დაგეგმილია – 5.231 სტუდენტი).

განსახილველად წარმოდგენილ ნაერთ ბიუჯეტში დაგეგმილი შემოსავლები და ხარჯები ჯამში განისაზღვრა **31.484.914** ლარით, მათ შორის:

- ფასიანი სწავლებიდან – 29.626.625 ლარი;
- სამეცნიერო გრანტებიდან – 618.289 ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობიდან – 1.240.000 ლარი. (სამეცნიერო და სახელშეკრულებო თემატიკა – 450.000 ლარი, იჯარა – 500.000 ლარი, დეპოზიტიდან – 290.000 ლარი).

შედარების სახით მინდა მოგახსენოთ, რომ მიმდინარე (2010) წლის ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 30.175.125 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება მოიცავს 3.786.040 ლარს, შესაბამისად, სხვაობა 2010 წლის ნაერთ ბიუჯეტსა და 2011 წლის დაგეგმილ ნაერთ ბიუჯეტს შორის შეადგენს 1.304.789 ლარს, რაც განისაზღვრება 4%-ით; ხოლო თუ შევადარებთ სხვაობას წმინდა საუნივერსიტეტო შემოსავლებს შორის, იგი შეადგენს 5.095.829 ლარს, რაც განისაზღვრება 16%-ით.

რაც შეეხება 2011 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, იგი გაწერილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით და შედგენილია შემდეგი პარამეტრებისა და დოკუმენტაციის გათვალისწინებით:

- მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;
- უნივერსიტეტის ყველა სეგმენტში არსებული რეალური მდგომარეობა (მათ შორის, მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა);
- სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები;
- ფაკულტეტების საბჭოების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტები და ფაკულტეტების ხარჯვითი ნაწილის მიზნობრივი პროგრამები;
- ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილის მიზნობრივი პროგრამები;
- უნივერსიტეტის საბუღალტრო, საფინანსო, სარემონტო-სამშენებლო და სამეურნეო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათები.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტებისა და ერთიანი საუნივერსიტეტო ბიუჯეტის პროექტის შედგენისას, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის ურთიერთშეთანხმებით, განისაზღვრა მომავალი (2011) წლის ძირითადი საბიუჯეტო პრიორიტეტები, კერძოდ:

- არსებული სახსრების ფარგლებში სასწავლო პროცესის მაქსიმალური ტექნოლოგიური აღჭურვა (იგულისხმება სასწავლო პროცესისთვის საჭირო ლაბორატორიები, დანადგარები, ხელსაწყოები, ლიტერატურა და სხვ.);
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
- მეცნიერების დაფინანსების ზრდა;
- სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის შექმნა;
- აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების მუხლის მიზანშეწონილი ზრდა;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ ნაერთ ბიუჯეტში გაწერილი ზოგიერთ მუხლის განმარტებას:

1. შრომის ანაზღაურება გულისხმობს

1.1 სტუ-ს დამტკიცებული საშტატო განრიგით უნივერსიტეტში მომუშავეთა ხელფასს (იგულისხმება როგორც ფაკულტეტის, ისე ადმინისტრაციის თანამშრომლები);

1.2. ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციაში მომუშავე ზოგიერთი თანამშრომლის, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცებულ, სახელფასო დანამატს;

1.3. საპრემიო ფონდს, რომელიც შექმნილია თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ აკადემიურ საბჭოში მიმდინარეობს მსჯელობა საპრემიო ფონდის განკარგვის წესისა და შესაბამისი კრიტერიუმების დადგენის შესახებ რაც, საბოლოოდ, 2011 წლის სტუ-ს საპრემიო ფონდის განკარგვის საფუძველი გახდება (აკადემიური საბჭოს №380 დადგენილება).

2. საქონელი და მომსახურება

2.1. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაში იგულისხმება: ფაკულტეტებზე მოწვეულ პროფესორთა, მოწვეულ მასწავლებელთა, სტუ-ს სარგებლობაში არსებული ყველა კორპუსის დამლაგებელთა, ამ კორპუსების დაცვისა და ასევე ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების მასშტაბით დროებით დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება.

2.2. მე-2 მუხლის შესაბამის პუნქტებში გაწერილი ყველა დანარჩენი ხარჯი შეადგენს ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის მოთხოვნათა (მიზნობრივი პროგრამების) დაფინანსების ჯამს.

კომუნალური გადასახადების (კერძოდ, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის) ხარჯები განსაზღვრულია მოქმედი ნორმატიული აქტებისა და სტუ-ს

ადმინისტრაციის სარემონტო-სამშენებლო და სამეურნეო დეპარტამენტის ხელმძღვანლის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების შესაბამისად, აქ ასევე მოიაზრება თანხა, რომელსაც გადასახადების სახით იხდიან უნივერსიტეტის მოიჯარეები, თვითდაფინანსებაზე მყოფი ცენტრები და სამეცნიერო გრანტებით გათვალისწინებული პროექტების განმხორციელებლები. იგივე შეიძლება ითქვას კავშირგაბმულობის ხარჯებზე. აქვე აღვნიშნავ, რომ ყოველთვიურად ბრძანებით ზუსტდება იმ პირთა წრე ვისაც, თავისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ესაჭიროება მობილური ტელეფონის ზღვრულ ოდენობამდე დაფინანსება, ასევე მოიაზრება ქალაქის ტელეფონის სააბონენტო და ლიმიტირებული წუთობრივი გადასახადი.

შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-დასუფთავების ხარჯებში შედის ხარჯი, რომელსაც სტუ რიცხავს თბილისის მერიის ანგარიშზე და მისი ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი პარამეტრის მიხედვით, კერძოდ, ყოველ 1 სტუდენტზე – 25 თეთრი.

3. წარმომადგენლობით ხარჯებში ჩამოთვლილი პუნქტობრივი ხარჯი წარმოადგენს შესაბამისი მიზნებისათვის სტუ-ს ფაკულტეტების, ადმინისტრაციის და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ხარჯების ჯამს.

4.სამედიცინო ხარჯები გულისხმობს:

4.1. საგაღდებულო სადღეზენფექციო-სადერატიზაციო მომსახურების ანაზღაურებას;

4.2. იმ პირთა საგაღდებულო სამედიცინო შემოწმებას, რომელთაც, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უწევთ რადიაციულ აპარატურასთან და ნივთიერებებთან მუშაობა.

5. უნიფორმის შექენაში იგულისხმება უნივერსიტეტის კორპუსების დაცვის პერსონალისა და სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საჭიროებისთვის განკუთვნილი უნიფორმები.

6. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებში იგულისხმება სტუ-ს სარგებლობაში (საკუთრების ან დროებითი სარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე) არსებული ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; რაც შეეხება საწვავ-საპოხ მასალას, ის ნაწილდება ყოველთვიურად, ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში და, ძირითადად, განკუთვნილია სასამსახურო მანქანებისა და ე.წ. სტუ-ს საერთო სარგებლობის მანქანებისთვის, რომლებიც ემსახურებიან უნივერსიტეტის ეონკრეტული საქმიანობიდან გამომდინარე ოპერატიულ

ღონისძიებებს, მათ დროულ განხორციელებას, სტუდენტთა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს და ასევე, სტუ-ს უცხოელ სტუმართა გადაადგილებას.

6.1. დანარჩენი საქონელი და მომსახურება მოიცავს სტუ-ს ფაკულტეტების, ადმინისტრაციის და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ხარჯების ჯამს.

7. სუბსიდიების მუხლში გათვალისწინებულია:

7.1. სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ 2011 წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების სავარაუდო ხარჯები;

7.2. სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდი, რომლის გადანაწილების კრიტერიუმები დადგენილია სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ და ემსახურება შესაბამისი კატეგორიის სტუდენტთათვის სწავლის დაფინანსების საკითხში შეღავათის გაწევას;

7.3. სამეცნიერო ხარჯები.

8. მიმდინარე ხარჯებში ასახულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადები, რომელთა სავარაუდო ციფრობრივი მაჩვენებელი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობითა და სტუ-ს ადმინისტრაციის შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

9. სატრანსპორტო საშუალებების შეძენის ხარჯებში განსაზღვრულია თანხა, რომელიც გამოყოფილია სტუ-ს სარგებლობისათვის რაფის ტიპის და მცირე ზომის სამგზავრო ავტობუსის შესასყიდად.

ყველა დანარჩენი მუხლი წარმოადგენს სტუ-ს ფაკულტეტების, ადმინისტრაციის და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი მიზნობრივი პროგრამების ხარჯების ჯამს (იხ. დანართი №1, 2, 3, 4).

პროფ. ნოდარ ქაჯაია: არის თუ არა გათვალისწინებული მომავალ წელს პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელფასების მომატება?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: აღნიშნულ პროექტში ხელფასების მომატება გათვალისწინებული არ არის, მაგრამ როგორც მოხსენებაში და კომისიაზე აღვნიშნე, დაგეგმილია სპეციალური ფონდის შექმნა, რომელიც იქნება პრემიალური ხასიათის, მაგრამ რა კატეგორიის პროფესორ-მასწავლებლები მიიღებენ პრემიას, ამაზე მუშაობს აკადემიური საბჭო, რომელიც დასკვნის სახით წარმოგიდგენს კრიტერიუმებს და მათი გათვალისწინებით გაიცემა ერთგვარი ბონუსები, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც დააკმაყოფილებს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

პროფ. ნოდარ ქაჯაია: ქალბატონო ქეთევან, პრემია სხვაა, მე მაინტერესებს: გაიცემა თუ არა მეცამეტე ხელფასი?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მეცამეტე ხელფასი არც ერთ ნორმატიულ აქტში არ არის დაფიქსირებული და აქამდეც გაიცემოდა მხოლოდ პრემია.

პროფ. აგული სოსხაძე: ჩვენთვის ცნობილია, თუ რა კურსი აქვს აღებული ხელისუფლებას დიდი წინსვლაა ეკონომიკის სფეროში და ვფიქრობ ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა აისახოს სოციალურ მდგომარეობაზე. პრემიის გაცემა გარკვეულწილად უხერხულობას გამოიწვევს, ამიტომ ჩემი აზრით შეიძლება პრემიისა და ხელფასის მომატების შეთავსება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: პრემია არ ნიშნავს მხოლოდ სადღესასწაულოდ გაცემულ თანხას, ის მხოლოდ დამსახურებისამებრ იქნება გაცემული.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მინდა გითხრათ, რომ ხელფასების მატება არ იქნება. ჩვენ შევთანხმდით, რომ უნივერსიტეტმა აირჩია სოციალური მოდელი, რაც ნიშნავს უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლების დიდი რაოდენობით შენარჩუნებას; შესაბამისად, ხელფასების მატება არ განიხილება. მივიღე გადაწყვეტილება, შემუშავებულ იქნეს პრემიების გაცემის ერთიანი წესი, აკადემიურ საბჭოზე უკვე მივიღეთ სათანადო გადაწყვეტილება. მერწმუნეთ, წახალისების ეს ფორმა ამუშავდება და უფრო შედეგიანი იქნება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

პროფ. ჯემალ ბერიძე: რამდენადაც ვიცი, წლის დასაწყისიდან უნივერსიტეტში დაგეგმილია სტრუქტურული ცვლილებები, რომლებიც ეხება დეპარტამენტებს, მიმართულებებს და ა.შ. მათი ხელმძღვანელები მუშაობენ და 14-16 საათს ატარებენ უნივერსიტეტში, მაგრამ არ აქვთ ანაზღაურება. ვფიქრობ, ამ შრომის ბონუსის სახით ანაზღაურება არ იქნება სწორი, რადგან ეს ადამიანები მუშაობენ და მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ხელფასის დანამატი, თუნდაც 10%. ეს იქნება სტიმული. არის ასახული ეს ბიუჯეტში?

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: დებულების თანახმად დეპარტამენტის და მიმართულების ხელმძღვანელი არ არის საშტატო ერთეული და ამიტომ მათ ვერ ექნებათ ხელფასი. რაც შეეხება ცვლილებებს 1-ლი იანვრიდან, ჩვენ ვთხოვეთ ყველა ფაკულტეტს, იანვრისთვის ემუშავათ და წარმოედგინათ პროექტი, თუ როგორ ხელავენ ფაკულტეტის სტრუქტურებს. ველოდებით მათ ვარიანტებს, თუ არადა, ჩვენ გვაქვს ჩვენი ვერსიაც, რომელსაც წარმოვადგენთ როგორც წარმომადგენლობით, ისე აკადემიურ საბჭოზე. თუ მიიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ეს თანამდებობები საშტატო ერთეულებად

იყოს წარმოდგენილი, სხვა საკითხია, თუ არადა ბონუსებით სტიმულირება არის კარგი გამოსავალი. არ შეიძლება ყველა ერთ პირობებში ჩაგაყენოთ.

სპიკერი: მოვუსმინოთ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს. კომისიამ ენერგიულად იმუშავა და მოამზადა გადაწყვეტილების პროექტი, რომელსაც საბოლოოდ უნდა ვუყაროთ კენჭი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: კომისიის მოსაზრება აღნიშნულ პროექტში არის დაფიქსირებული. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი დაგეგმილია დიდი რეზერვით. ჩვენი აზრით, საშემოსავლო ნაწილში იგი საკმაოდ სოლიდურია. პირველი რეზერვია გარდამავალი ნაწილი, რომელიც გადადის მომავალ წელში წლევეანდელი შემოსავლებიდან, მეორე რეზერვი – შემოსავლები ფასიანი სწავლებიდან. ეს რეზერვები უნდა გამოვიყენოთ წახალისების ფონდის შესავსებად. შესაძლებლად მიმაჩნია დღეს დავამტკიცოთ არსებული საკონტროლო ციფრები და დავაზუსტოთ რა პროგრამებია მოსატანი; ხოლო როცა ინსტიტუტები შემოგვიერთდებიან, ბიუჯეტი ახლიდან იქნება გადასახედი და იქნებ მაგ დროისთვის მოესწროს კიდევ პროგრამების წარმოდგენა და ყველა პარამეტრის დაზუსტება. დაზუსტებული პარამეტრები მივიღოთ და განვახორციელოთ. მაქვს ასევე ერთი თხოვნა: იქნებ ბიუჯეტი ერთი თვით ადრე წარმოგვიდგინოთ ხოლმე, რათა გვექონდეს დრო საფუძვლიანი მუშაობისთვის.

სპიკერი: თუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან აღარ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ პროექტს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი.

ბ ა ღ ა ო მ ე მ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საბჭო აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 23 დეკემბერს (წერილი №49) სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი, 2010 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია. ანალოგიურად არის გაზრდილი ხარჯები

კლასიფიკაციის ყველა მუხლის მიხედვით. სტუ-ში 2010 წელთან შედარებით საკუთარი შემოსავლების ზრდა დაგეგმილია 19.2%-ით, რაც 5 950 221 ლარს შეადგენს.

აღნიშნული შესაძლებელი გახდა უნივერსიტეტის რექტორატის და ადმინისტრაციის მიზანმიმართული მუშაობის შედეგად.

საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბიუჯეტო ხარჯები არ არის გაწერილი მიზნობრივი პროგრამების სახით. ბიუჯეტის პროექტს თან არ ახლავს საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ანალიზი და დასაბუთება. იგი ძირითადად ორიენტირებულია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. მასში არ არის ასახული თანამშრომლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები. საბჭო ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ადმინისტრირების ხარჯები ბიუჯეტის შემოსავლების საერთო მოცულობის 34.45%-ს შეადგენს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 16.8%-ს შეადგენს. ანალოგიური ტენდენციები შეიმჩნევა საფაკულტეტო ბიუჯეტებშიც.

აღნიშნული მდგომარეობა მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტში აუცილებელია ჩატარდეს კადრების ოპტიმიზაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეზერვებით არის დაგეგმილი კომუნალური, ოფისის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხარჯები.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ წარმომადგენლობითი საბჭო არ გასცნობია საქართველოს კონტროლის პალატის შემოწმების აქტს (იგი არ შემოსულა სტუ-ში), რის გამოც ამ დოკუმენტში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებები გათვალისწინებული არ არის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საბჭო თვლის, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის ხარჯების გონივრული განაწილების შედეგად, სავსებით შესაძლებელია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის მატერიალური წახალისების ფონდში მიმართულ იქნეს მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს 2011 წლის სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №4).

საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 31 484 914 ლარით.

მათ შორის:

1. სამეცნიერო გრანტები – 618 289 ლარი;

2. ფასიანი სწავლებიდან – 29 626 625 ლარი;

3. ეკონომიკური საქმიანობიდან – 1 240 000 ლარი (იჯარა – 500 000 ლარი, დეპოზიტი – 290 000 ლარი, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავლები – 450 000 ლარი).

მუხლი 2. ხარჯვითი ნაწილი კლასიფიკაციის შესაბამისად განისაზღვროს 31 484 914 ლარით.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 15 524 846 ლარი;

2. საქონელი და მომსახურება – 11 496 605 ლარი;

3. სუფსიდიები – 1 153 221 ლარი;

4. სხვა ხარჯები – 891 000 ლარი;

5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 2 419 242 ლარი;

მუხლი 3. დამტკიცდეს სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის ადმინისტრირების ხარჯები (დანართი №2) – 10 846 891 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 1 666 900 ლარი;

2. საქონელი და მომსახურება – 6 198 290 ლარი;

3. სუფსიდიები – 1 153 221 ლარი;

4. სხვა ხარჯები – 661 857 ლარი;

5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 1 166 623 ლარი.

მუხლი 4. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების 2011 წლის ბიუჯეტები (დანართი №1).

მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 2 336 500 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 631 942 ლარით;

2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 3 678 375 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 169 513 ლარით;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 1 064 750 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 316 856 ლარით;

4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 1 629 125 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 996 071 ლარით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 3 906 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი 2 425 923 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 724 500 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 807 844 ლარით;
7. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 8 894 625 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 980 759 ლარით;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს – 7 392 750 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 4 450 826 ლარით.

სულ ფაკულტეტების მიხედვით საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 29 626 625 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 18 779 734 ლარით.

მუხლი 5. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს დამტკიცებულ 2011 წლის ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიან ასიგნებებში განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

მუხლი 6. სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 70% დარჩეს მათ განკარგულებაში; ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებით, მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად, 30% ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო პროგრამების დასაფინანსებლად.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქ. ქოქრაშვილი):

1. უზუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება.

2. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შეიმუშაოს მიზნობრივი პროგრამები და ამ პროგრამების შესაბამისად დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს 2011 წლის მარტში;

3. შეიმუშაოს საქართველოს კონტროლოს პალატის შემოწმების აქტში ასახული სტუ-ს საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის

უზრუნველყოფის კონკრეტული პროგრამა და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. კადრების ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული ფინანსები და ბიუჯეტში არსებული რეზერვები მიმართოს პროფესორ-მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის მატერიალური წახალისების ფონდში.

4. ცნობად იქნეს მიღებული:

ა) აკადემიური საბჭოს №380 დადგენილებით, სტუ-ს რექტორთან შექმნილია საპრემიო და წახალისების სხვა ფორმების კრიტერიუმების შემუშავებული ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც 2011 წლის იანვრის ბოლოსთვის შეიმუშავებს საპრემიო ფონდის განკარგვის კრიტერიუმებს და დასამტკიცებლად წარმოუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

ბ) საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის მიერ საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულია სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული პოზიციების თანამდებობრივი ინსტრუქციები, რაც საფუძველად დაედება უნივერსიტეტში კადრების ოპტიმიზაციას.

სპიკერი: აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები ძალიან გვიან მიდის ჩვენს პროფესორებამდე. ჩემი თხოვნა იქნება: პირდაპირ დაგვაგალოთ ფაკულტეტებს, რომ ეს გადაწყვეტილებები გააცნონ თავიანთ თანამშრომლებს.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: ასეთივე მდგომარეობაა აკადემიურ საბჭოშიც და კარგი იქნება, თუ შევიმუშავებთ დებულებას და ვეტყვით ბატონოთარ ზუმბურიძეს, გაითვალისწინოს ეს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო ცვლილებებს საშტატო განრიგში (იხ. დანართი №5):

1. სწავლების დეპარტამენტის „სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაცემთა ბაზების ფორმირების და აკადემიური დატვირთვების განყოფილებას“ ეწოდოს „სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის და სტატისტიკის განყოფილება“. განყოფილებაში შეიქმნას ორი სამუშაო ჯგუფი:

1.1. „სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: უფროსი სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში და სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში;

1.2. „სტატისტიკის და შიდა რეესტრის ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი თვეში და სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში.

2. სწავლების დეპარტამენტის „სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებაში“ შეიქმნას სამი სამუშაო ჯგუფი:

2.1. „აკადემიური დატვირთვების და ცხრილების ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: ჯგუფის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 900 ლარი თვეში, უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში და სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში;

2.2. „სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: ჯგუფის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 900 ლარი თვეში; მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი თვეში და უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში.

2.3. „პროფესიული და საბაკალავრო პროგრამების ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი თვეში და სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად სწავლების დეპარტამენტის სახელფასო ფონდი იზრდება – **9600** ლარის ოდენობით წელიწადში.

3. სტუ-ს ადმინისტრაციის „შესყიდვების ჯგუფს“ ეწოდოს „შესყიდვების განყოფილება“, ხოლო საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ჯგუფის უფროსს – განყოფილების უფროსი და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1000 ლარით თვეში, ნაცვლად 900 ლარისა.

აღნიშნული ცვლილების შედეგად განყოფილების სახელფასო ფონდი იზრდება – **1200** ლარის ოდენობით წელიწადში.

4. „რექტორის სამდივნოს“ ეწოდოს „რექტორის აპარატი“, ხოლო სამდივნოს უფროსს – აპარატის უფროსი.

აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს სახელფასო ფონდის ზრდას.

5. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე საშტატო განრიგით ირიცხებოდა ლაბორატორიის გამგე – 10,5 საშტატო ერთეული და უფროსი ლაბორანტი – 12,5 საშტატო ერთეული. ფაკულტეტის ძირითად საშტატო ერთეულებს დაემატოს ხელშეკრულებით მომუშავე სასწავლო-დამხმარე პერსონალი – 5,5 საშტატო ერთეული და ცვლილება განხორციელდეს შემდეგნაირად:

- 5.1. ლაბორატორიის გამგე – 1,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 380 ლარი;
- 5.2. უფროსი ლაბორანტი – 4,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 350 ლარი.
6. სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეიცვალოს საშტატო განრიგი. კერძოდ:
- 6.1. გადააკეთდეს მთავარი სპეციალისტი მთავარ ბიბლიოთეკარად – 1 საშტატო ერთეული, იგივე ხელფასით – 550 ლარი;
- 6.2. დამატოს მთავარი ბიბლიოთეკარი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით – 550 ლარი;
- 6.3. დამატოს უფროსი ბიბლიოთეკარი – 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 200 ლ;
- 6.4. გადაყვანილ იქნენ ბიბლიოთეკარები უფროს ბიბლიოთეკარებად – 12,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი, ნაცვლად 330 ლარისა;
- 6.5. ხელშეკრულებით მომუშავე ბიბლიოთეკარები გადაყვანილ იქნენ უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, ძირითად საშტატო ერთეულებში – 7 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი, ნაცვლად 330 ლარისა.
- აღნიშნული ცვლილებების შედეგად სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელფასო ფონდი იზრდება – **53100** ლარის ოდენობით წელიწადში.
7. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში შეიცვალოს სტრუქტურა და შესაბამისი საშტატო განრიგი. კერძოდ:
- 7.1. „ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილებას“ ეწოდოს „ადმინისტრაციული სამსახური“ და მდივნის 1 საშტატო ერთეული გადააკეთდეს მდივან-რეფერენტის 1 საშტატო ერთეულად. ხელფასი განისაზღვროს 400 ლარით, ნაცვლად 330 ლარისა;
- 7.2. „ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში“ შემცირდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით – 330 ლარი;
- 7.3. „რეჟიმისა და უსაფრთხოების სამსახურში“ – სამსახურის უფროსის ხელფასი განისაზღვროს – 450 ლარის ოდენობით, ნაცვლად 350 ლარისა;
- 7.4. „კოსმ. ნაგებობებისა და სამხედრო-საინჟინრო სამეცნიერო ცენტრს“ ეწოდოს „კოსმოსური და მიწისზედა ტრანსფორმირებადი სისტემების ცენტრი“ და დამატოს შემდეგი საშტატო ერთეულები:
- 7.4.1. უფრ. მეცნ.თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული, ხელფასით 350 ლარი;
- 7.4.2. წამყვანი ინჟინერი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში;
- 7.4.3. მდივან-რეფერენტი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 450 ლარი თვეში.

7.5. „საგურამო-არაგვის ველის“ ბაზის უფროსის ხელფასი განისაზღვროს 330 ლარის ოდენობით, ნაცვლად 280 ლარისა;

7.6. „კონსტრუირების ლოგიკისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილებას“ ეწოდოს „კოსმოსური ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების განყოფილება“ და შეიცვალოს საშტატო ერთეულები შემდეგნაირად:

7.6.1. შემცირდეს უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი – 3,0 საშტატო ერთეული 1,5 საშტატო ერთეულით, ხელფასით – 500 ლარი;

7.6.2. დაემატოს უფრ. მეცნ. თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 350 ლარი;

7.6.3. დაემატოს ინჟინერი – 1,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი;

7.7. „პროექტირებისა და კონსტრუირების განყოფილებაში“ შეიცვალოს საშტატო ერთეულები შემდეგნაირად:

7.7.1. შემცირდეს უფრ. მეც. თანამშრომელი – 2,0 საშტატო ერთეული 1,0 საშტატო ერთეულით, ხელფასით – 500 ლარი;

7.7.2. შემცირდეს მეც. თანამშრომელი-კონსტრუქტორი – 2,0 საშტატო ერთეულის 1,0 საშტატო ერთეულით, ხელფასით – 490 ლარი და მეც. თანამშრომელი-კონსტრუქტორის 1,0 საშტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს – 590 ლარის ოდენობით, ნაცვლად 490 ლარისა;

7.7.3. გადააკეთდეს წამყვანი ინჟინერი კონსტრუქტორად და ხელფასი განისაზღვროს 400 ლარით;

7.7.4. დაემატოს კონსტრუქტორი 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 590 ლარი;

7.8. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორიული კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების განყოფილებას“ ეწოდოს „მიწისზედა ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების განყოფილება“ და შეიცვალოს საშტატო ერთეულები შემდეგნაირად:

7.8.1. შემცირდეს მეც. თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 450 ლარი;

7.8.2. შემცირდეს მდივან-რეფერენტის – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 450 ლარი;

7.8.3. შემცირდეს სპეციალისტის – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 320 ლარი;

7.8.4. შემცირდეს სპეციალისტის – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 220 ლარი;

7.8.5. დაემატოს ინჟინერი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი;

7.9. „ბორჯომის რაიონის მთიანი ზონის“ ბაზის უფროსის 0,5 საშტატო განაკვეთის ხელფასი განისაზღვროს – 200 ლარით, ნაცვლად 150 ლარისა და სპეციალისტის 1,0 საშტატო განაკვეთის ხელფასი განისაზღვროს – 200 ლარით, ნაცვლად 145 ლარისა;

7.10. „საინფორმაციო ანალიტიკურ განყოფილებას“ ეწოდოს „საინფორმაციო და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური“ და დაემატოს სამსახურის უფროსის 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 450 ლარი;

7.11. „საინფორმაციო და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის“ დანარჩენი საშტატო ერთეულებით ჩამოყალიბდეს: „საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილება“ და „საპატენტო სამსახური“;

7.12. შეიქმნას „საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილება“ და განისაზღვროს შემდეგი საშტატო ერთეულებით:

7.12.1. განყოფილების უფროსი – უფრ. მეც. თანამშრომელი 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 700 ლარი;

7.12.2. უფრ. მეცნ. თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 500 ლარი;

7.12.3. უფრ. სპეციალისტი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 350 ლარი;

7.12.4. მეცნ. თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 450 ლარი;

7.12.5. სპეციალისტი – 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 220 ლარი;

7.12.6. სპეციალისტი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 380 ლარი;

7.13. შეიქმნას „საპატენტო სამსახური“ და პატენტმცოდნის 1,0 საშტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს – 400 ლარით, ნაცვლად 300 ლარისა.

აღნიშნული საშტატო ერთეულების ცვლილების შედეგად ინსტიტუტის სახელფასო ფონდი იზრდება – 7980 ლარის ოდენობით წელიწადში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ჩვენი მოსაზრებაა, რომ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით უნდა დავუბრუნდეთ სტრუქტურულ ცვლილებას და ხომ არ სჯობია, გადავდოთ ეს საკითხი და ერთიან კონტექსტში განვიხილოთ ყველა ცვლილება?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ამ საკითხის სრულად გადადება შეუძლებელია, რადგან აქ არის სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის საშტატო განრიგი და თუ არ დამტკიცდება, ისინი იანვარში ვერ იმუშავენ.

რექტორი, პროფ არჩილ ფრანგიშვილი: მინდა აღვნიშნო, რომ ბიბლიოთეკაზე არის ძალიან დიდი დატვირთვა. სპეციალურად იქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლის შემადგენლობაში შედის ასი

კომპიუტერი, ასევე ემატება ახალი ტექნიკური დარბაზი თავისი მომსახურებით, რჩება ძველიც. ეს ყველაფერი კი არის დამატებითი ფუნქციები, რომლებიც, რა თქმა უნდა, საჭიროებენ დამატებით კადრებს.

პროფ. დავით ჯაფარიძე: არის ერთი პრობლემა, ტექნიკურ უნივერსიტეტში ლაბორანტების რიცხოვნობის სტანდარტები უნდა განისაზღვროს ანუ რეალურად უნდა დადგინდეს რამდენი ლაბორანტი სჭირდება თვითოეულ ლაბორატორიას და საერთოდ უნივერსიტეტს.

სტუდენტი ირაკლი გაბისონია: სტუდენტები ბიბლიოთეკასთან დაკავშირებულ ყველა სიახლეს ვუჭერთ მხარს, რადგან იგი პირველ რიგში ჩვენს საქმიანობასთან და სწავლებასთანაა დაკავშირებული. ასევე, პროგრამული აკრედიტაციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკის როლი.

სპიკერი: ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ უახლოეს მომავალში არსებითად სახეშეცვლილი მოგვევლინება სტუ-ს ბიბლიოთეკა და ერთ-ერთი საუკეთესო იქნება უნივერსიტეტებს შორის.

პროფ. ჯემალ ბერიძე: ქალბატონო ქეთევან აქ ერთ-ერთ პუნქტში წერია, რომ შესყიდვების ჯგუფს ეწოდოს შესყიდვების განყოფილება და 900 - ლარიანი ხელფასი გაიზარდოს 1000 ლარამდე. ვაფიქსირებ, რომ მე ამ ცვლილების წინააღმდეგი ვარ და ამ საკითხზე მაქვს უარყოფითი მოსაზრება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა: მომხრე – 30, წინააღმდეგი –1, თავი შეიკავა – 0.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს (წერილი №49) სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სტუ-ს 2011 წლის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები. კერძოდ:

1. სწავლების დეპარტამენტის „სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაცემთა ბაზების ფორმირების და აკადემიური დატვირთვების განყოფილებას“ ეწოდოს „სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის და სტატისტიკის განყოფილება“. განყოფილებაში შეიქმნას ორი სამუშაო ჯგუფი:

1.1. „სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: უფროსი სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში და სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში;

1.2. „სტატისტიკის და შიდა რეესტრის ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი თვეში და სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში.

2. სწავლების დეპარტამენტის „სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებაში“ შეიქმნას სამი სამუშაო ჯგუფი:

2.1. „აკადემიური დატვირთვების და ცხრილების ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: ჯგუფის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 900 ლარი თვეში, უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში და სპეციალისტი – 3 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში;

2.2. „სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: ჯგუფის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 900 ლარი თვეში; მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი თვეში და უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში.

2.3. „პროფესიული და საბაკალავრო პროგრამების ჯგუფი“ შემდეგი საშტატო ერთეულებით: მთავარი სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი თვეში და სპეციალისტი – 2 საშტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი თვეში.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად სწავლების დეპარტამენტის სახელფასო ფონდი იზრდება – 9600 ლარის ოდენობით წელიწადში.

3. სტუ-ს ადმინისტრაციის „შესყიდვების ჯგუფს“ ეწოდოს „შესყიდვების განყოფილება“, ხოლო საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ჯგუფის უფროსს – განყოფილების უფროსი და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1000 ლარით თვეში, ნაცვალად 900 ლარისა.

აღნიშნული ცვლილების შედეგად განყოფილების სახელფასო ფონდი იზრდება – 1200 ლარის ოდენობით წელიწადში.

4. „რექტორის სამდივნოს“ ეწოდოს „რექტორის აპარატი“, ხოლო სამდივნოს უფროსს – აპარატის უფროსი.

აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს სახელფასო ფონდის ზრდას.

5. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე საშტატო განრიგით ირიცხებოდა ლაბორატორიის გამგე - 10,5 საშტატო ერთეული და უფროსი ლაბორანტი - 12,5 საშტატო ერთეული. ფაკულტეტის ძირითად საშტატო ერთეულებს დაემატოს ხელშეკრულებით მომუშავე სასწავლო-დამხმარე პერსონალი – 5,5 საშტატო ერთეული და ცვლილება განხორციელდეს შემდეგნაირად:

5.1. ლაბორატორიის გამგე – 1,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 380 ლარი;

5.2. უფროსი ლაბორანტი – 4,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 350 ლარი.

საფუძველი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, ბ-ნი გია არაბიძის მოხსენებითი ბარათი (დანართი №6).

6. სტუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეიცვალოს საშტატო განრიგი. კერძოდ:

6.1. გადაკეთდეს მთავარი სპეციალისტი მთავარ ბიბლიოთეკარად – 1 საშტატო ერთეული, იგივე ხელფასით – 550 ლარი;

6.2. დამატოს მთავარი ბიბლიოთეკარი – 1 საშტატო ერთეული, ხელფასით – 550 ლარი;

6.3. დამატოს უფროსი ბიბლიოთეკარი – 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 200 ლ;

6.4. ბიბლიოთეკარები გადაყვანილ იქნენ უფროს ბიბლიოთეკარებად – 12,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი, ნაცვლად 330 ლარისა;

6.5. ხელშეკრულებით მომუშავე ბიბლიოთეკარები გადაყვანილ იქნენ უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე, ძირითად საშტატო ერთეულებში – 7 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი, ნაცვლად 330 ლარისა.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელფასო ფონდი იზრდება – 53100 ლარის ოდენობით წელიწადში.

7. სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში შეიცვალოს სტრუქტურა და შესაბამისი საშტატო განრიგი. კერძოდ:

7.1. „ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფას“ ეწოდოს „ადმინისტრაციული სამსახური“, მდივნის 1 საშტატო ერთეული გადაკეთდეს მდივან-რეფერენტის 1 საშტატო ერთეულად და ხელფასი განისაზღვროს 400 ლარით, ნაცვლად 330 ლარისა;

7.2. „ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში“ შემცირდეს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული, ხელფასით – 330 ლარი;

7.3. „რეჟიმისა და უსაფრთხოების სამსახურში“ სამსახურის უფროსის ხელფასი განისაზღვროს 450 ლარის ოდენობით, ნაცვლად 350 ლარისა;

7.4. „კოსმ. ნაგებობებისა და სამხედრო-საინჟინრო სამეცნიერო ცენტრს“ ეწოდოს „კოსმოსური და მიწისზედა ტრანსფორმირებადი სისტემების ცენტრი“ და დამატოს შემდეგი საშტატო ერთეულები:

7.4.1. უფრ. მეცნ.თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული, ხელფასით 350 ლარი;

7.4.2. წამყვანი ინჟინერი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში;

7.4.3. მდივან-რეფერენტი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 450 ლარი თვეში.

7.5. „საგურამო-არაგვის ველის“ ბაზის უფროსის ხელფასი განისაზღვროს – 330 ლარის ოდენობით, ნაცვლად 280 ლარისა;

7.6. „კონსტრუირების ლოგიკისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილებას“ ეწოდოს „კოსმოსური ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების განყოფილება“ და შეიცვალოს საშტატო ერთეულები შემდეგნაირად:

7.6.1. შემცირდეს უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი – 3,0 საშტატო ერთეული 1,5 საშტატო ერთეულით, ხელფასით – 500 ლარი;

7.6.2. დაემატოს უფრ. მეცნ. თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 350 ლარი;

7.6.3. დაემატოს ინჟინერი – 1,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი;

7.7. „პროექტირებისა და კონსტრუირების განყოფილებაში“ შეიცვალოს საშტატო ერთეულები შემდეგნაირად:

7.7.1. შემცირდეს უფრ. მეც. თანამშრომელი – 2,0 საშტატო ერთეული 1,0 საშტატო ერთეულით, ხელფასით – 500 ლარი;

7.7.2. შემცირდეს მეც. თანამშრომელი-კონსტრუქტორი – 2,0 საშტატო ერთეულის 1,0 საშტატო ერთეულით, ხელფასით – 490 ლარი და მეც. თანამშრომელი-კონსტრუქტორის 1,0 საშტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს – 590 ლარის ოდენობით, ნაცვლად 490 ლარისა;

7.7.3. გადააკეთდეს წამყვანი ინჟინერი კონსტრუქტორად და განისაზღვროს იგივე ხელფასით – 400 ლარი;

7.7.4. დაემატოს კონსტრუქტორი - 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 590 ლარი;

7.8. „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორიული კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების განყოფილებას“ ეწოდოს „მიწისზედა ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების განყოფილება“ და შეიცვალოს საშტატო ერთეულები შემდეგნაირად:

7.8.1. შემცირდეს მეც. თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 450 ლარი;

7.8.2. შემცირდეს მდივან-რეფერენტის – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 450 ლარი;

7.8.3. შემცირდეს სპეციალისტის – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 320 ლარი;

7.8.4. შემცირდეს სპეციალისტის – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 220 ლარი;

7.8.5. დაემატოს ინჟინერი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 400 ლარი;

7.9. „ბორჯომის რაიონის მთიანი ზონის“ ბაზის უფროსის 0,5 საშტატო განაკვეთის ხელფასი განისაზღვროს – 200 ლარით, ნაცვლად 150 ლარისა და სპეციალისტის 1,0 საშტატო განაკვეთის ხელფასი განისაზღვროს – 200 ლარით, ნაცვლად 145 ლარისა;

7.10. „საინფორმაციო ანალიტიკურ განყოფილებას“ ეწოდოს „საინფორმაციო და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური“ და დაემატოს სამსახურის უფროსის 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით 450 ლარი;

7.11. „საინფორმაციო და საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის“ დანარჩენი საშტატო ერთეულებით ჩამოყალიბდეს: „საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილება“ და „საპატენტო სამსახური“;

7.12. შეიქმნას „საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილება“ და განისაზღვროს შემდეგი საშტატო ერთეულებით:

7.12.1. განყოფილების უფროსი – უფრ. მეც. თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 700 ლარი;

7.12.2. უფრ. მეცნ. თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 500 ლარი;

7.12.3. უფრ. სპეციალისტი - 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 350 ლარი;

7.12.4. მეცნ. თანამშრომელი - 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 450 ლარი;

7.12.5. სპეციალისტი – 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით – 220 ლარი;

7.12.6. სპეციალისტი – 1,0 საშტატო ერთეული, ხელფასით – 380 ლარი;

7.13. შეიქმნას „საპატენტო სამსახური“ და პატენტმცოდნის 1,0 საშტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს – 400 ლარით, ნაცვლად 300 ლარისა.

აღნიშნული საშტატო ერთეულების ცვლილების შედეგად ინსტიტუტის სახელფასო ფონდი იზრდება – 7980 ლარის ოდენობით წელიწადში.

აღნიშნულ საკითხზე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სტუ-ს 2011 წლის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში შესატანი ცვლილებები (დანართი №5).

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შეიტანოს სათანადო ცვლილებები სტუ-ს საშტატო განრიგში.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: 2010 წლის სსიპ – „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ წლიური ბიუჯეტი დაზუსტებული იქნა გადაანგარიშების შედეგად როგორც შემოსავლების ნაწილში, ასევე ხარჯების ნაწილში. შემოსავლის დაზუსტება გამოწვეულია წლის განმავლობაში განხორციელებული მობილობითა და 2010-2011 სასწავლო წლის სტუდენტთა ჩარიცხვებით.

გადაანგარიშებით სამშენებლო ფაკულტეტის შემოსავლები შემცირდა 232.250 ლარით და გეგმა დაზუსტდა 1.959.350 ლარით; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის შემოსავალი შემცირდა 130.125 ლარით და გეგმა დაზუსტდა 3.147.975 ლარით; სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის შემოსავალი შემცირდა 151.750 ლარით და გეგმა დაზუსტდა 998.450 ლარით; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის შემოსავალი შემცირდა 242.375 ლარით და გეგმა დაზუსტდა 1.522.725 ლარით; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდა 40.875 ლარით და გეგმა დაზუსტდა 2.987.525 ლარით; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდა 22.000 ლარით და გეგმა დაზუსტდა 611.125 ლარით; ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდა 1.550.250 ლარით და გეგმა დაზუსტდა 6.842.700 ლარით; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდა 54.1500 ლარით და გეგმა დაზუსტდა 5.794.200 ლარით. სულ შემოსავლების ნაწილში დაზუსტებულმა გეგმიურმა მაჩვენებელმა სწავლებიდან გადასახადის ნაწილში შეადგინა 23.864.050 ლარი.

დაზუსტებას ექვემდებარება ხარჯვითი ნაწილი ხელფასისა და შტატგარეშე ხელფასის ფონდში როგორც ფაკულტეტების მიხედვით, ასევე ადმინისტრაციის ხელფასის ფონდში. გადაანგარიშებით სამშენებლო ფაკულტეტის ძირითადი ხელფასის ფონდი უნდა გაიზარდოს 22.900 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი – 2.800 ლარით, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი უნდა გაიზარდოს 43.000 ლარით, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ძირითად მომუშავეთა ხელფასის ფონდი გაზრდას ექვემდებარება 14.000 ლარით; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 4.000 ლარით, ხოლო ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის 51.700 ლარით.

დაზუსტებული გეგმის მიხედვით გაზრდას ექვემდებარება ადმინისტრაციის ძირითად მომუშავეთა ხელფასის ფონდი 208.500 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდის გაზრდა – 289.656 ლარით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაზუსტებული მონაცემებით გაზრდას ექვემდებარება ბიუჯეტში გადასახადების მუხლში გეგმების ცვლილება. კერძოდ, დღგ-ში 117.107 ლარით დამტკიცებული გეგმის გაზრდა, მოგების გადასახადის მუხლში 345.822 ლარით დამტკიცებული გეგმის გაზრდა, ქონების გადასახადის მუხლში 289.660 ლარით დამტკიცებული გეგმის გაზრდა, ხოლო მიწის გადასახადში 8.980 ლარით გაზრდა.

სულ ბიუჯეტის გადასახადების სახით დამტკიცებული გეგმები გაზრდას ექვემდებარება 761.569 ლარით.

საერთო-საუნივერსიტეტო შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე დაზუსტებული შედეგების მიხედვით შეადგენს 1.259.725 ლარს, საიდანაც 498.156 ლარი მიმართული უნდა იქნეს სტუ-ს ხელფასების ფონდის ზრდაზე, ხოლო 761.569 ლარი – ბიუჯეტის გადასახადებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 დეკემბრის №954 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამის“ ქვეპროგრამამ „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ განიცადა ცვლილება – ნაცვლად 2010 წლის განსაზღვრული – 229.500 ლარისა, განისაზღვრა – 240.300 ლარით.

მოგმართავთ თხოვნით, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამტკიცების მიზნით განიხილოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ბიუჯეტების ცვლილები, კერძოდ:

1. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების ხარჯების მუხლიდან – 1127 ლარი; კომუნალური მომსახურებისათვის – გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების მუხლიდან – 500 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯების მუხლიდან – 353 ლარი; სულ ჯამში – 1980 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 11000 ლარი, ხოლო სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან – 1000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

3. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან – 5000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 29000 ლარი; ნედლეულისა და მასალების ხარჯების მუხლიდან – 6000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან – 20000 ლარი; სულ ჯამში – 55000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 620 ლარი გადატანილი იქნას მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 27 დეკემბრის №24-09-1/22603 წერილის საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ: საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლიდან – 557260 ლარი გადავიდა არაფინანსური აქტივების ხარჯების მუხლში (იხ. დანართი №6).

ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გუშინ მოვიდა წერილი, რომლის თანახმადაც სახელმწიფომ კიდევ მოგვცა განსაზღვრული თანხა, რომელიც არის მიზნობრივი და განკუთვნილია კომპიუტერებისა და ლაბორატორიისთვის. ამით კიდევ იზრდება ჩვენი ბიუჯეტი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ქალბატონო ქეთევან, აქ ბიუჯეტის დაზუსტებაზეა საუბარი, როცა საკითხი ეხებოდა ძირითადი სახელფასო ფონდების ზრდას, ხომ შეიძლებოდა თავის დროზე შემოგეტანათ ეს საკითხი საბჭოზე განსახილველად? ჩვენ უარი არასოდეს გვითქვამს ბიუჯეტში ცვლილებაზე. კანონიერია თუ არა, გახარჯული თანხა ახლა დავაზუსტოთ? უკეთესი ხომ არ იქნებოდა ჯერ სახელფასო ფონდების ზრდასთან დაკავშირებული საკითხი გაგვეხილა და შემდეგ მომხდარიყო მისი დახარჯვა?

სპიკერი: თუ აღარ გაქვთ შეკითხვები ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ პროექტს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ო მ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

მიმდინარე წლის 23 დეკემბერს (წერილი №49) სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სტუ-ს 2010 წლის საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებები. კერძოდ:

სამშენებლო ფაკულტეტზე შემოსავლები შემცირდეს – 232.250 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 1.959.350 ლარით; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის შემოსავალი შემცირდეს – 130.125 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 3.147.975 ლარით; სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის შემოსავალი შემცირდეს – 151.750 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 998.450 ლარით; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის შემოსავალი შემცირდეს – 242.375 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 1.522.725 ლარით; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდოს – 40.875 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 2.987.525 ლარით; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდოს – 22.000 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 611.125 ლარით; ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდოს – 1.550.250 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 6.842.700 ლარით; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის შემოსავალი გაიზარდოს – 54.1500 ლარით და დაზუსტებული გეგმა განისაზღვროს – 5.794.200 ლარით. გატარებული ცვლილებების დაზუსტებულმა გეგმიურმა მაჩვენებელმა სწავლების გადასახადიდან შეადგინოს – 23.864.050 ლარი.

უნდა დაზუსტდეს შტატში მყოფი და შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდის ხარჯვითი ნაწილი. სამშენებლო ფაკულტეტის ძირითადი ხელფასის ფონდი უნდა გაიზარდოს – 22.900 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი – 2.800 ლარით, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი უნდა გაიზარდოს – 43.000 ლარით, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ძირითადი მომუშავეთა ხელფასის ფონდი გაიზარდოს – 14.000 ლარით; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის – 4.000 ლარით, ხოლო ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის – 51.700 ლარით.

ადმინისტრაციის ძირითადი მომუშავეთა ხელფასის ფონდი გაიზარდოს – 208.500 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასის ფონდი გაიზარდოს – 289.656 ლარით

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაზუსტებული მონაცემებით გაზრდას ექვემდებარება ბიუჯეტში გადასახადების მუხლში გეგმების ცვლილება. კერძოდ, დღგ-ს მუხლში დამტკიცებული გეგმა გაიზარდოს – 117.107 ლარით, მოგების გადასახადის მუხლში – 345.822 ლარით, ქონების გადასახადის მუხლში – 289.660 ლარით, ხოლო მიწის გადასახადში – 8.980 ლარით.

დაზუსტებული გეგმის მიხედვით საერთო-საუნივერსიტეტო შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე შეადგენს – 1.259.725 ლარს, საიდანაც – 498.156 ლარი მიმართულ უნდა იქნეს სტუ-ს ხელფასების ფონდის ზრდაზე, ხოლო – 761.596 ლარი მიმართულ უნდა იქნეს საბიუჯეტო გადასახადებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 დეკემბრის №954 ბრძანების საფუძველზე, პროგრამამ „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ განიცადა ცვლილება და 2010 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტში იგი უნდა განისაზღვროს – 240.300 ლარით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 27 დეკემბრის №24-09-1/22603 წერილის საფუძველზე უნდა განხორციელდეს 2010 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მუხლობრივი ცვლილება. საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლიდან 557260 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ხარჯების მუხლში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების ბიუჯეტებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტში საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების ხარჯების მუხლიდან – 1127 ლარი; კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯების მუხლიდან – 500 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ხარჯების მუხლიდან – 353 ლარი; სულ ჯამში – 1980 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტში შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 11000 ლარი, ხოლო სამეცნიერო ხარჯების მუხლიდან – 1000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

3. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან 5000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან – 29000 ლარი; ნედლეულისა და

მასალების ხარჯების მუხლიდან – 6000 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან – 20000 ლარი; სულ ჯამში – 55000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 620 ლარი გადატანილ იქნეს მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების მუხლში.

საბჭო განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სტუ-ს სათანადო სამსახურებში არ არის ჩამოყალიბებული ბიუჯეტზე მუშაობის მწყობრი სისტემა, რის შედეგადაც ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს სახელფასო ფონდის გადახარჯვას. ეს პროცესი შეინიშნება, როგორც ფაკულტეტებზე, ისე ადმინისტრაციაში, რაც სათანადო მოწესრიგებას უნდა დაექვემდებაროს.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს 2010 წლის საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტებში წარმოდგენილი ცვლილებები (დანართი №6).

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შეიტანოს სათანადო ცვლილებები 2010 წლის საფაკულტეტო და ნაერთ ბიუჯეტებში.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გაითვალისწინოს, რომ ბიუჯეტით დამტკიცებული სახელფასო ფონდის გადახარჯვის შემთხვევაში, დროულად დააყენოს საკითხი წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე სათანადო რეაგირებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს საპრემიო და წახალისების სხვა ფორმების კრიტერიუმების შემმუშავებელ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №380 – მომხსენებელი პროფ. ჯემალ გახოკიძე.

საკითხი ეხება სტუ-ს საპრემიო და წახალისების სხვა ფორმების კრიტერიუმების შემმუშავებელ ექსპერტთა ჯგუფის შექმნას. სტუ-ს აკადემიურმა საბჭომ მიიღო იგი №380 დადგენილებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საპრემიო და წახალისების სხვა ფორმების

კრიტერიუმების შემმუშავებელ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №380.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №380 სტუ-ს საპრემიო და წახალისების სხვა ფორმების კრიტერიუმების შემმუშავებელ ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №359 – მომხსენებელი პროფ. ლალი ღოღელიანი.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ქალბატონო ლალი, მაინტერესებს დაფინანსება როგორი ექნება ამ ინსტიტუტს?

პროფ. ლალი ღოღელიანი: მას სახელმწიფო აფინანსებს.

სპიკერი: თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე პროფ. ლალი ღოღელიანმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №359.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №359 დადგენილება სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემული ბეჭდური პროდუქციის რეალიზაციის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №374 – მომხსენებელი პროფ. ანზორ შავგულიძე.

პროფ. ანზორ შავგულიძე: წარმოგიდგენთ საკითხს საგამომცემლო სახლ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემული ბეჭდური პროდუქციის რეალიზაციის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე პროფ. ანზორ შავგულიძემ წარმოადგინა საკითხი საგამომცემლო სახელ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემული ბეჭდური პროდუქციის რეალიზაციის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №374.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საგამომცემლო სახელ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიერ გამოცემული ბეჭდური პროდუქციის რეალიზაცია. ასევე, ერთი ეგ ზემპლარი უნდა დარჩეს გამომცემლობაში, სამი – გაიგზავნოს ISBN-ის ცენტრში, ხუთი, როგორც საავტორო, უნდა დარჩეს ავტორს, ათი – გადავიდეს უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში, ერთი გადაეცეს სტუ-ს სამეურვეო საბჭოს, ხოლო ტირაჟის დარჩენილი ნაწილი გაიყიდოს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სტუ-სთან არსებული სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №365 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: წარმოგიდგინოთ საკითხს სტუ-სთან არსებული სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან არსებული სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №365.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №365 დადგენილება სტუ-სთან არსებული სამეცნიერო-

საინჟინრო ცენტრ „უტილიზაციის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – სტუ-სთან არსებული „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №378 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: წარმოგიდგინო საკითხს სტუ-სთან არსებული „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერი: თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთან არსებული „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №378.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №378 დადგენილება სტუ-სთან არსებული „ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან არსებული „მოდელირებისა და მართვის“ საინჟინრო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №379 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი.

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: წარმოგიდგინო საკითხს სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან არსებული „მოდელირებისა და მართვის“ საინჟინრო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერი: თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან არსებული „მოდელირებისა და მართვის“ საინჟინრო-სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №379.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №379 დადგენილება სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან არსებული „მოდელირებისა და მართვის“ საინჟინრო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: მიმდინარე საკითხებში ბატონი არჩილ ფრანგიშვილი წარმოგიდგინებთ საკითხს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დასახელების შეცვლის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №381. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, ქალბატონი რუსუდან ქუთათელაძეც აქ ბრძანდება.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: საკითხი ეხება ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტს. გვაქვს 2 შესაძლო ვარიანტი, თუ როგორ შეიძლება მოხდეს აღნიშნული ფაკულტეტის სახეცვლილება: 1. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი წავიდეს მიღვეად რეჟიმში და შეიქმნას ახალი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, სადაც დიდი ნაწილი ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის მიმართულებებისა, სახეცვლილების შედეგად, იქნება შენარჩუნებული ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე. 2. ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი იყოს გამოყენებული, როგორც საბაზისო ფაკულტეტი და მოხდეს მისი რეორგანიზაცია ბიზნეს-ინჟინერინგის მიმართულებით. ეს ყველაფერი უკავშირდება იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი არის ტექნიკური და ჩვენს ყველა სტრუქტურას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ტექნიკურ მიმართულებებთან. თავის დროზე, როდესაც შეიქმნა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, ყველაფერი იყო სწორად გათვალისწინებული, მაგრამ დღეს მსოფლიოში იცვლება ვითარება საინჟინრო მიმართულებით და აუცილებელი ხდება ინტეგრირება ამ კუთხით. აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და მიიღო

გადაწყვეტილება, რომ მოხდეს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის რეორგანიზაცია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტად და 7 თვის ვადაში მომზადდეს როგორც სტრუქტურული, ასევე პროგრამული უზრუნველყოფა. თქვენი უარის შემთხვევაში, შესაძლოა ამ საკითხის უკან დაბრუნება.

საბჭოს წევრების დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რექტორის წინადადებას და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დასახელების შეცვლის შესახებ. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 დეკემბრის №5 სხდომაზე პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დასახელების შეცვლის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №381.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №381 დადგენილება:

- 1. განხორციელდეს სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის რეორგანიზაცია ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტად და მოხდეს ფაკულტეტის სტრუქტურული და პროგრამული უზრუნველყოფა. რეორგანიზაციის პროცესი დასრულდეს მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე;*
- 2. 2011-12 სასწავლო წლამდე ჩარიცხული, ყველა საფეხურის სტუდენტთა სწავლება წარიმართოს მიღწევად რეჟიმში არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით. (მათ შორის აღნიშნულ პროგრამებზე აღდგენისა და მობილობის გზით ჩარიცხული სტუდენტებისათვის);*
- 3. ფაკულტეტის სახელწოდების „ჰუმანიტარულ-ტექნიკური“-ს ნაცვლად „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს გამოყენება დაიწყოს მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, 2011 წლის 21 თებერვლიდან;*
- 4. დადგენილებით გათვალისწინებული რეორგანიზაციის პროცესის დადგენილ ვადებში დასრულება უზრუნველყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციამ.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, რექტორს და საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დასურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი